Food and Agriculture Organization of the United Nations

CZECH REPUBLIC DEVELOPMENT COOPERATION

შვედეთი Sverige

ევროკავშირი საქართველოსთვის

Delicious green

# სურსათის ეტიკეტი

მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ეტიკეტირება.

# შეხვედრის შემდეგ ჩვენ შევძლებთ:

| WE DID IT: |
|---|
| გავეცნოთ რა არის სურსათის ეტიკეტი |
| განვსაზღვროთ , რა სახის ინფორმაციას უნდა ვგებულობდე სურსათის ეტიკეტიდან |
| როგორი უნდა იყოს სურსათზე განთავსებული ინფორმაცია |

# შეხვედრის გეგმა

შეხვედრის მიზნის წარდგენა

აქტივობა: ,,გავიცნოთ სურსათი”

როგორ წავიკითოთ სურსათის ეტიკეტი

რას გვეუბნება სურსათის ეტიკეტი

შექმენი შენი საყვარელი სურსათის ახალი ბრენდი და მისი ეტიკეტი

# სამაგიდო თამაში:

# ,,გზა ფერმიდან სუფრამდე”



# აქტივობა 1. გავიცნოთ სურსათი

NEXT

- დავიყოთ ჯგუფებად
- ავირჩიოთ მოცემული სურსათის ბარათებიდან ერთი
- შევავსოთ სურსათის ანკეტა



შოკოლადი




რძე



პური



კვერცხი

# სურსათის ანკეტა

„გაგვაცანი შენს მიერ არჩეული სურსათი"

| | |
|---|---|
| **სურსათის დასახელება:** | |
| **შენი აზრით რა არის სურსათის ფუნქცია?** | |
| **შენი აზრით რითი შეიძლება განსხვავდებოსდეს სურსათი ერთმანეთისაგან?** | |
| **როგორ ფიქრობ:**<br>*სოფლის მეურნეობის რომელმა დარგმა შექმნა შენი სურსათი?* |  **მემცენარეობა** ☐<br> **მეცხოველეობა** ☐ |
| **გამოთქვი ვარაუდი:**<br>*სურსათის შეძენისას რა გეხმარება არჩევანის გაკეთებაში?* | |
| **გამოთქვი ვარაუდი:**<br>*სურსათი საკუთარი მახასითებლების შესახებ როგორ გვაწვდის ინფორმაციას?* | |
| **ჩამოთვალე, კიდევ რა გინდა რომ იცოდე სურსათის შესახებ:** | |

# აქტივობის წარდგენა- შეჯამება

როგორ ფიქრობთ სურსათის შესახებ  დეტალური ინფორმაცია საიდან შეიძლება მივიღოთ?








ანიმაცია “წავიკითხოთ პროდუქტის ეტიკეტი”: https://www.momxmarebeli.ge/resources/animations/63
წყარო: momxmarebeli.ge

## საქართველოს მთავრობის დადგენილება №301
(2016 წლის 1 ივლისი)

• ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ

## ვრცელდება:

- სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათზე, **რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ და, ასევე, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის მიწოდებულ სურსათზე.**
- კონკრეტული სახეობის სურსათისათვის ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნებთან ერთად ეტიკეტზე განთავსებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია.

ბიზნესოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია სურსათის შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის შესახებ ინფორმაციის არსებობა, მისი სიზუსტე და შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან.

ბიზნესოპერატორმა, რომელიც არ არის დაკავშირებული სურსათის შესახებ ინფორმაციის წარდგენასთან, არ უნდა განათავსოს ბაზარზე ისეთი სურსათი, რომელთა შესახებ მან იცის, ან პროფესიული ცოდნის საფუძველზე, ვარაუდობს, რომ ასეთი სურსათი არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

# რა არის სურსათის ეტიკეტი?




**სურსათის ეტიკეტი** ეს არის სურსათის შეფუთვაზე ან ტარაზე (კონტეინერზე) ან თანდართულ დოკუმენტში წერილობითი, ბეჭდური, შაბლონის, აღნიშნული ან ამოტვიფრული სახით განთავსებული იარლიყი, თანდართული ან მიმაგრებული ნებისმიერი იარლიყი (ბირკა), სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), სავაჭრო ნიშანი (მარკა), გრაფიკული ან სხვა აღწერილობითი გამოსახულება.

**სურსათის შესახებ ინფორმაცია** - ეს არის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც საბოლოო მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს როგორც ეტიკეტის, ისე სხვა თანმხლები მასალის, ასევე, ნებისმიერი სხვა საშუალების, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ან ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით.





# სად მიდის სურსათი საბოლოოდ?

**საბოლოო მომხმარებელი** - არის მომხმარებელი, რომელიც სურსათს რეალიზაციისათვის არ იყენებს.



**საზოგადოებრივი კვების ობიექტი** - ნებისმიერი დაწესებულება, სადაც სავაჭრო - საწარმოო საქმიანობით ხდება საბოლოო მომხმარებლისათვის მზა სურსათის დამზადება.

# სურსათის შესახებ ინფორმაცია

- თვალსაჩინოდ უნდა იქნეს განთავსებული უშუალოდ შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე!
- წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, გარკვევით იკითხებოდეს!
- არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი!
- ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის სურსათის შეძენისას - ადგილზე და შეძენამდე - დისტანციურად შეძენის დროს.

# ეტიკეტის სავალდებულო მონაცემები:




- სურსათის დასახელება;
- ინგრედიენტების ჩამონათვალი და მათი რაოდენობა (მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში);
- ალერგიის გამომწვევი ან მომეტებული მგრძნობელობის მქონე ნივთიერებების ან პროდუქტების აღნიშვნა განსხვავებული ფორმით;
- ნეტო (სუფთა) წონა;
- ვარგისიანობის მინიმალური ვადის გასვლის ან „გამოიყენება...მდე“ თარიღი;
- შენახვის ან გამოყენების ნებისმიერი განსაკუთრებული პირობები;
- ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი;
- სურსათის წარმოშობის ქვეყანა ან წარმოშობის ადგილი (მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში);
- სურსათის გამოყენების ინსტრუქცია (საჭიროების შემთხვევაში)
- სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაცია სასმელისათვის (თუ აღემატება1.2%-ს);
- ინფორმაცია კვებითი ღირებულების შესახებ;
- დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი.

## ხორციანი ღვეზელი (1)

დარბილებული ხორცი, გულღვიძლი, ხის ჩაფლული და ხახვი, გამომცხვარი ფენოვანი ცომში, ხრაშუნა ზედაპირით



**ფენოვანი ცომით**

550 გ (5)

(6) გამოიყენეთ 21 დღისამდე

რეკომენდაცია - 3 პორცია

### ინგრედიენტები (2)

(4) ხორბლის ფქვილი, წყალი, ბოსტნეული, მცენარეული ცხიმი (რაფსის ზეთი), ძროხის ხორცი (13 %), ძროხის გულღვიძლი (25%), ხახვი, მარილი, დექსტროზა, სოიოს ექსტრაქტი, ქერის ალაოს ექსტრაქტი, რძის ცილები, შავი პილპილი, ბლუკოზის სიროფი.

(3) ალერგენები გამოყოფილია მსხვილი, განსხვავებული ფერის შრიფტით

არ შეიცავს ხელოვნურ საღებავს, არომატიზატორებს და ჰიდროგენიზებულ ცხიმს

### ინსტრუქცია (10)

გამოაცხვეთ აუცილებლად

- გახსენით შეფუთვა
- ღუმელი გააცხელეთ წინასწარ
- მოათავსეთ ღვეზელი შუა თაროზე

გალღვობილი 180 ° C 35 წთ

გაყინული 180 °C 50 წთ

- მიირთვით ცხელი
- არ დაწვათ

(11)

| კვებითი ღირებულება | 100 გ-ში | 1/3-ში (1 პორციაში) | რეკომენდებული ნორმები |
|---|---|---|---|
| ენერგ.ღირებ. | 286კკალ | 524 კკალ | 2000 კკალ |
| ცხიმი | 15.4გ | 28.2გ | 70გ |
| მათ შორის ნაჯერი | 7.6გ | 13.9გ | 20გ |
| ნახშირწყლები | 26.6 | 46.9 | 260გ |
| მათ შორის შაქრები | 1.3გ | 2.4გ | 90გ |
| ცილები | 10.2გ | 16.7გ | 50გ |
| მარილი | 0.7გ | 1.2გ | 6გ |

### შენახვის პირობები (7)

შეინახეთ მაცივარში. დაშვებულია გაყინვა შეძენისთანავე, მოიხმარეთ ერთი თვის განმავლობაში. მომზადების წინ კარგად გაალღვეთ. დაუშვებელია გალღობის შემდეგ განმეორებითი გაყინვა

(12) დამზადების თარიღი ან პარტიის ნომერი.

(9) დამზადებულია საქართველოში

(8) საკონტაქტო ინფორმაცია
კომპანია...... მის. ...... შპს..."......"
ტელ/ფაქსი.....e.mail......ვებ-გვერდი

# სურსათის ეროვნული სააგენტო

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო ამოწმებს სარეალიზაციოდ განთავსებული სურსათის ეტიკეტის შესაბამისობას, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**სასურსათო მარკეტში არასათანადოდ ეტიკეტირებული სასურსათო პროდუქტის ან სურსათის უვნებლობის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში**

**შეგვიძლია, მივმართოთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზს -1501**

# შექმენი

შექმენი შენი საყვარელი სურსათის, ახალი ბრენდი და მისი ეტიკეტი

# სამუშაო ფურცლი

| | |
|---|---|
| • სურსათის სახელწოდება | |
| • სიმბოლო (დახატე,დაწერე როგორ გამოიყურება) | |
| • წონა | |
| • კვებითი ღირებულება | |
| მწარმოებელი | |
| • ვარგისიანობის ვადა | |
| • შენახვის/გამოყენების პირობები | |
| • იგრედიენტები | |
| • გამოყენების ინსტრუქცია | |
| • შექმნის ისტორია;<br>სად,როდის, ვის მიერ შეიქმნა შენის სურსათი? | |
| შექმენი შენი ბრენდის გავრცელების რუკა<br><br>დაიტანე მოცემულ კონტურულ რუკაზე:<br><br>• სად რომელ ქვეყანაში დაიწყო შენი სურსათის წარმოება?<br><br>• შენს მიერ შექმნილი ბრენდის სიმბოლოებით დაიტანე, კიდევ სად რომელ ქვეყნებში შეიძლება მოცემული სურსათის შეძენა?<br><br>რეკომენდაცია მოსწავლეს: მოიფიქრე სხვადასხვა პირობითი ნიშნები და შექმენი რუკის ლეგენდა |  |

# ნამუშევრების წარდგენა

# შევაჯამოთ kahoot



https://create.kahoot.it/details/1c31b631-bb37-48b1-9806-8e16924ff990

კაჰუტის ლინკი

# მადლობა ჩართულობისთვის!